1 მაისი

პასექის II კვირა [II] თ

წმ. იოსებ მშრომელი

2019 ოთხშაბათი

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

ნათელი მოვიდა წუთისოფელში იო 3,19

როდესაც სიყვარულით ვისმენთ იესოს სიტყვას, რომელსაც მისი მოყვარენი აცხადებენ, ჩვენ მას შევინცობთ ღმრთის ძედ, რომლის მეშვეობითაც ვუყვარვართ მამას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ცოდვით სავსე სამყაროს ნაწილი ვართ. იგია ნათელი, ჩვენს ყოველ დღეს ანათებს. მას მივუძღვნათ ჩვენი შრომის ჯაფა, რათა ამანაც აჩვენოს ჩვენი რწმენა.

2 მაისი

პასექის II კვირა [II]

წმ. ათანასე, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +373, (მ) თ

2019 ხუთშაბათი

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ღმერთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს საქმ 5,29

ეს სიტყვა არის პასუხი, დანარჩენ მოციქულებთან ერთად რომ გასცა პეტრემ სინედრიონს. ისინი არ დაემორჩილნენ ბრძანებას, რომ აღარ ესწავლებინათ იესოს სახელით, ვინაიდან იცოდნენ, როგორც ფსალმუნი ამბობს, რომ "უკეთესია უფალს შეაფარო თავი, ვიდრე მთავრებზე დაიმედდე" . ჩვენ, მორწმუნეებმა, ვიცით, რომ სახელმწიფოს არაერთი კანონი ეწინააღმდეგება ღმრთის მცნებებს. ნუ მივენდობით მათ, რომლებმაც შეიძლება ისიც კი დაუშვან, რომ ღმერთი სჯის დიდ ბოროტებას. გულისყურით დავემორჩილოთ მუდამ და მხოლოდ იესოს, ჭეშმარიტსა და ერთადერთ მხსნელს.

3 მაისი

წმიდანნი ფილიპე და იაკობ
მოციქულნი, დ, [ს], წ

2019 პარასკევი

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

უფალო, გვიჩვენე მამა და საკმარისი იქნება ჩვენთვის იო 14,8

დღეს ფილიპე და იაკობ მოციქულთა დღესასწაულია. სწორედ ფილიპემ მიმართა მოძღვარს ამ თხოვნით, რომელზეც იესო უპასუხა, გაოცებულმა, ვინაიდან თავის მოწაფეს ჯერაც ვერ გაეგო, რომ სწორედ იგ გვიცხადებს მამას. ვხედავთ კი იესოს სიყვარულს? ჩვენ ვიხილეთ ჩვენი ღმერთი. მართლაც საკმარისია ჩვენთვის იესოს ხილვა, ვინაიდან მასთან ერთად გულით გვჯერა, რომ ნაყვარებნი და დახსნილნი ვართ სამარადისოდ.

4 მაისი

პასექის II კვირა [II] თ

2019 შაბათი

საქმ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

მე ვარ, ნუ გეშინიათ იო 6,20

არა, იესო, არ გვეშინია, როდესაც ჩვენთან ხარ. ვიცი, რომ თუკი ჩემს გულში შიში ისადგურებს, ეს იმიტომ ხდება, რომ შენ დაგივიწყე. შენ შეგიძლია ჩემთან მოხვიდე, როდესაც ამას არ ველი, და ახლებურად, როგორც მაშინ მოხდა, როდესაც ზღვაზე გაიარე ქარიშხლის დროს. შენთვის ჩემი სირთულეები დაუძლეველი როდია.

5 მაისი

პასექის ჟამის III კვირადღე, «გ», [III], თ

2019 კვირა

საქმ 5,27-32.40-41; ფს 29; გამოცხ 5,11-14; იო 21,1-19

ნავის მარჯვენა მხრიდან ისროლეთ ბადე და იპოვით იო 21,6

მთელ ღამეს მძიმედ იშრომეს. შენ მათ სთავაზობ, რომ იგივე გაიმეორონ, და იმ დეტალსაც ამატებ, რომელიც შეიძლება ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს: "მარჯვენა მხრიდან". შენმა მოწაფეებმა არ იციან, რომ ეს შენ ხარ, მაგრამ გემორჩილებიან. მათი მცირედი მორჩილება უფრო ქმედითია, ვიდრე დიდი შრომა! ვინაიდან შრომა მორჩილების გარეშე არ იძლება ნაყოფს. ღმერთი იყენებს ჩვენს მორჩილებას, რომ თავისი სასწაულები აღასრულოს.

6 მაისი

პასექის III კვირა [III] თ

2019 ორშაბათი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

როგორ მოვიქცეთ, რომ ღმერთის საქმენი ვაკეთოთ? იო 6,28

შენი პასუხი ამ შეკითხვაზე არა მარტო მნიშვნელოვანი, არამედ მეტყველიცაა. ღმერთი საქმეს როდი უყურებს: მისი ყურადღება მოპყრობილია ჩვენზე, ჩვენს ურთიერთობაზე მასთან. მას ეამება რწმენა, ჩვენ რომ გვაქვს მის მიმართ, და იმის მიმართ, მისი გულიდან რომაა გამოსული. ჩვენ მაშინ შევიცნობთ მამას, როდესაც ჩვენ გულსაც უპირობოდ უყვარს, და მაშინ შევიცნობთ ძეს, როდესაც ჩვენი სიყვარული თავისუფალ და სიხარულით სავსე მორჩილებად იქცევა!

7 მაისი

პასექის III კვირა [III] თ

2019 სამშაბათი

საქმ 7,51 - 8,1; ფს 30; იო 6,30-35

უფალო იესო, მიიბარე სული ჩემი საქმ 7,59

ჩვენ ვხედავთ სტეფანეს, რომელსაც ქვებით ქოლავენ. მას კლავენ, ვინაიდან მიიღო იესო, როგორც საკუთარი სიცოცხლის უფალი. მისი სახელისა და მისადმი სიყვარული გამო მოელის ახლა მას სიკვდილი. ამ წუთშიც მას მიმართავს, თუმც კი თავის მოძულეთა ყვედრებისა და კრულვის გარეშე: იესო თავისი სიცოცხლე მათთვისაც გაიღო. ის იესოს მსხვერპლის მოწიარეა.

8 მაისი

პასექის III კვირა [III] თ

2019 ოთხშაბათი

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

... ვინც ძეს იხილავს და ირწმუნებს, საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს იო 6,40

ჩემი ცხოვრება ჭეშმარიტ ცხოვრებას იქცა მაშინ, როდესაც შენ მოხვედი, იესო, როდესაც თანდათანობით დავინახე შენი მყოფობა და მნიშვნელობა, როდესაც თანდათანობით გითხარი ჩემი 'კი', ჩემი 'აჰა, მე', როდესაც დავიწყე იმის გაცნობიერება, რომ შენ შეგიძლია ჩემი გვერდშიმდგომი იყო. მაშინ ჩემი შიშებიც - სიბნელისა და მომავლის შიშებიც - შემცირდება და ბოლოს გაქრება. გმადლობ, იესო!

9 მაისი

პასექის III კვირა [III] თ

2019 ხუთშაბათი

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

ფაშიზმზე გამარჯვების დღე

მე ვარ ცოცხალი პური, ზეციდან გარ-დმოსული იო 6,51

ეს გაცხადებაა. "მე ვარ" არის ღმერთის სახელი: იესო არის ღმერთი, მოსული ჩვენთან ჩვენს გამო, რომ იყოს ჩვენი საზრდო, რომ გახდეს ჩვენი ძალა და მოგვცეს სიცოცხლე და მარადისობა. მე იესოთი ვსაზრდოობ, იგი შემომყავს ჩემს კონკრეტულ ცხოვრებაში, ერთ დღესაც კი აღარ ვატარებ უიმისოდ. და ეს ნიშნავს არა მარტო ევქარიტიული პურის ჭამას, არამედ მისი სიტყვის მოსმენასა და მისადმი მორჩილებას.

10 მაისი

პასექის III კვირა [III] თ

2019 პარასკევი

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

ადგა და მოინათლა საქმ 9,18

დღეს სავლეს ნათლობის მოწმენი ვართ, იესო რომ აღასრულებს სასწაულებრივად დამასკოს გზაზე. სამდღიანი გარეგანი და შინაგანი სიბრმავის შემდეგ, ბოლოს თვალს ახელს, პირველ რიგში გულის თვალს, და იესოს, ღმრთის ძეს, ხედავს. ახალი რწმენა მას ყველა ეჭვსა და ყველა შიშზე სცემს პასუხს. დიახ, ვინაიდან იესო არის ღმერთის ამენი, იგი არის ღმერთის 'კი' ადამიანის ყველა საჭიროებაზე, მიტევებისა და სიწმიდის საჭიროებაზე.

11 მაისი

პასექის III კვირა [III] თ

2019 შაბათი

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

ჩვენ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა იო 6,69

მოციქულები უძალიანდებიან ცდუნებას, რომელსაც მრავალი სხვა მოწაფე და იუდეველი დაემორჩილა. ისინი დაშორდნენ ქრისტეს, ვინაიდან ვერ შეძლეს მისი მიღება, ვინც ცოცხალი და ჭეშმარიტი პურია, ვინც ჭეშმარიტი საზრდოა ცხოვრებისათვის. მაგრამ იესო როდი ატკბობს თავის სიტყვებს, ვინაიდან ეკითხება ტორმეტს: "თქვენც ხომ არ გინდათ წასვლა?" ისინი კი პეტრეს მეშვეობით რმწენის ამ აქტით პასუხობენ: მხოლოდ შენ და სხვა არავინ მოდის ღმერთისგან!

12 მაისი

პასექის ჟამის IV კვირადღე, «გ», [IV], თ

2019 კვირა

საქმ 13,14.43-52; ფს 99; გამოცხ 7,9.14-17; იო 10,27-30

მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

წმ. ანდირა მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ იო 10,28

იესო ფიქრობს თავის "ცხვრებზე", მათზე, ვისაც მისი მოსმენა სწადიათ და, ამგვარად, ვინც მზად არიან დაემორჩილონ მას. მათ იგი აძლევს"საუკუნო სიცოცხლეს", იმ სიცოცხლეს, რომლითაც თავად ღმერთი ცოცხლობს. ესაა იმის სიცოცხლე, ვისაც უყვარს, იმი სიცოცხლე, ვინც არასდროს წყვეტს სიყვარულს, სიცოცხლე, რომელშიც მშვიდობა და სისავსეა, კმაყოფილებაა იმისა, რომ სრულებით რეალიზებულნი იყვნენ მამის ჩანაფიქრისამებრ. ყურადღებით მოვუსმინოთ: იესო ამბობს "ვაძლევ", და არა 'მივცემ': უკვე ახლა აქ და დღეს ცხოვრობთ საუკუნო სიცოცხლით!

13 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

ფატიმის ნეტ. ქალწ. მარიამი – 1917

2019 ორშაბათი

საქმ 11,1-18; ფს 41-42; იო 10,1-10

ღმერთის მიერ განწმედილს ბიწიერად ნუ მიიჩნევ! საქმ 11,9

ეს სიტყვა შეგვახსენებს გარდამტეხ მომენტს წმ. პეტრეს ცხოვრებაში. მას, კეთილ ებრაელს, სურდა სრულებით მორჩილი ყოფილიყო რაბინთა მიერ ნაქადაგები წესებისადმი. მაგრამ ახლა იესო მოვიდა, მესია, რომელმაც მთელი რჯული, მთელი წმიდა წერილი, აღასრულა. ახლა ყურადღება მისკენა არის მიპყრობილი. მისთვის სხვა არაფერია ბიწიერი, გარდა ღმერთისადმი ურჩი ადამიანის გულისა. საკვები, ღმერთის მიერ შექმნილი, არაა ბიწიერი, და არც ადამიანები, მან რომ მოისურვა. ასე პეტრე ემზადება, რომ შევიდეს წარმართი კორნელიუსის სახლში!

14 მაისი

წმ. მატათია მოციქული, დ, [ს], წ

(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213

2019 სამშაბათი

საქმ 1,15-17.20-26; ფს 112; იო 15,9-17

უფალო, ... გვიჩვენე ამ ორთაგან ერთი, რომელიც ამოირჩიე საქმ 1,24

შეკრებილმა მოციქულებმა და მოწაფეებმა უნდა გადაწყვიტონ, ვინ დაიკავებს იუდას ადგილს. მათ დაასახელეს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებისთვის უფალს მიმართავენ, რომელმაც შემოთავაზებული ორი სახელიდან უნდა ამოირჩიოს. მას შეგვიძლია მივმართოთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისთვისაც, ამ თითქმის ბავშვური უბრალოებით, ასე ვთქვათ, უბრალოებით, რომელიც მისი ჩარევისადმი ჭეშმარიტ და ღრმა ნდობას გამოხატავს.

15 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2019 ოთხშაბათი

საქმ 12,24-13,5; ფს 66; იო 12,44-50

ღვთის სიტყვა იზრდებოდა და ვრცელდებოდა საქმ 12,24

მეფე ჰეროდე აგრიპა ცდილობდა, შესაძ-
ლებლობისამებრ ხელი შეეშალა მოცი-
ქულთა ქადაგებისათვის. ამიტომ დააპატი-
მრებინა პეტრე, რომ შემდეგ სიკვდილით
დაესაჯა, მაგრამ სიკვდილით დასჯის წინა
ღამეს ანგელოზმა გაუღო მას ციხის კარი.
თავად ჰეროდე მოულოდნელად გარდაი-
ცვალა. უფლის სიტყვას ვერაფერი აბრკო-
ლებს: ადამიანს არ ძალუძს მისი შეკავება.
ის სიყვარულია, რომელიც იხსნის.

16 მაისი

2019 ხუთშაბათი

პასექის IV კვირა [IV] თ

(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი, VIIIს; / ღირ. მამანი მიქა-
ელ და არსენ ულუმბოელნი, IXს, მონაზონნი

საქმ 13,13-25; ფს 88; იო 13,16-20

ღვთის მოშიშნო, ისმინეთ! საქმ 13,16

"ღვთის მოშიშნი" ეწოდებოდათ წარმართებს, რომლებიც ებრაელთა სარწმუნოებაზე გადადიოდნენ. ისინი იყვნენ პისიდიის ანტიოქიის სინაგოგაშიც, სადაც პავლე და ბარნაბა შეჩერდნენ თავიანთი პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს. მათაც შეეძლოთ ებრაელებთან ერთად მოესმინათ იესოს უწყება. მისგან ისინიც იღებდნენ ხსნასა და ახალ ცხოვრებას! იესო მათთვის აღდგა!

17 მაისი

პასექის IV კვირა [IV] თ

2019 პარასკევი

საქმ 13,26–33; ფს 2; იო 14,1–6

იწამეთ ღმერთი და მიწამეთ მე იო 14,1

ასე იწყებს იესო თავის საუბარს მოწაფეებთან უკანასკნელი სერობის დროს. რწმენა მის მიმართ, ისევე როგორც რწმენა ღმერთის მიმართ, დარწმუნებულობის ერთადერთი წყაროა. რწმენა გვიხსნის შიშისგან და ყოველგვარი მოუსვენრობისგან. ვინაიდან იესოს და მამას ვუყვარვართ, არ დაუშვებენ, რომ ბოროტი შემოვიდეს ჩვენს გულში და დაამსხვრიოს ის.

18 მაისი

2019 შაბათი

პასექის IV კვირა [IV] თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, + 526

საქმ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

მოწაფეები აღივსნენ სიხარულით

საქმ 13,52

ჭეშმარიტი და ღრმა სიხარული ყოველთვის ეუფლება ადამიანის გულს, როდესაც მას სწამს იესოსი. პავლეს და ბარნაბას უწყება ბევრის გულს შეეხო, რომელთაც არ შეეძლოთ საკუთარი სიხარულის დამალვა. ამიტომაც ეწოდება ასეთ უწყებას 'სახარება', კეთილი უწყება. მადლობას ვწირავ იესოს ჭეშმარიტი სიხარული იმ ყოველი წუთის გამო, რომელმაც გაახარა ჩემი ცხივრება და კვლავ ახარებს მას, და ჩემი შეხვედრების გამო იმათთან, ვისაც მისი სწამთ.

19 მაისი

პასექის ჟამის V კვირადღე, «გ», [I], თ

2019 კვირა

საქმ 14,21-27; ფს 144; გამოცხ 21,1-5; იო 13,31-33.34-35

ჩემი მოწაფენი ხართ, თუ გეყვარებათ ერთმანეთი

იო 13,35

გმადლობ, იესო. ამ სიტყვებით მიხსნი ზედაპირულობის სიცრუისაგან. მე შენი მოწაფე იმიტომ კი არა ვარ, რადგან ვამბობ, რომ შენი მწამს ან რადგან შენს სიბრძნეს ვიაზრებ. შენი მოწაფეობა ხორცს ისხამს ღმრთის ძესთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში. მათ უნდა ვაჩვენო მამის სიყვარული, და მათგანაც უნდა მივიღო ის სიმდაბლით.

20 მაისი

პასექის V კვირა [I] თ

წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი, +1444;
(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, VIს, (მ)

2019 ორშაბათი

საქმ 14,5-18; ფს 113; იო 14,21-26

ისიც წამოხტა და დაიწყო სიარული საქმ 14,10

ჩვენ ვართ ქალაქ ანატოლიაში, სადაც პავლე და ბარნაბა ჩამოვიდნენ იმ ჩანაფიქრით, რომ იესოზე იქადაგებდნენ. სწორედ იესოსადმი რწმენაა, რასაც პავლე ქადაგებდა, რამაც დაბადებიდანვე სნეული კაცი განკურნა. მაგრამ სასწაული არ დახმარებია ხალხს, გარდა იმისა, რომ განცვიფრებულნი დარჩნენ. ვინაიდან რამდენიმე ბოროტი ენაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პავლე სიკვდილის წინაშე დამდგარიყო. სასწაულებს კი არა, არამედ იესოს ჯვარს მოაქვს ხსნა!

21 მაისი

პასექის V კვირა [I] თ

წმ. ქრისტოფორე მაგალანეს ხუც. და მეგ., წამ., +1927

2019 სამშაბათი

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

ლოცვითა და მარხვით მიუძღვნეს ისინი უფალს საქმ 14,23

პავლემ და ბარნაბამ სიცოცხლე გაიღეს ქრისტიანული საკრებულოსთვის იმ ქალაქებში, რომლებსაც ეწვივნენ. მათ არ შეეძლოთ იქ დიდხანს დარჩენა, და ახალი მოწაფეებიც უკვე გაიწაფენენ რწმენასა და ქრისტიანულ ცხოვრებაში. მარხვით გაძლიერებული მათი ლოცვით ორმა მოციქულა "მიუძღვნეს ისინი უფალს" : იესო სანდოა! ახლა რომ მრავალ სამრევლოში აღარ არის მღვდელი, ეს არის გზა, რომელსაც უნდა მიჰყვნენ: მიენდონ უფალს და მას მიუძღვნან მორწმუნეები. იგი წარუძღვება მათ!

22 მაისი

პასექის V კვირა [I] თ

წმ. რიტა კასიადან, +1447
(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VIს, (მ)

2019 ოთხშაბათი

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

ფინიკიაში გაიარეს, იქაურებს წარმართთა მოქცევაზე უამბობდნენ საქმ 15,3

ჩვენ პავლესთან ერთად ვართ მისიიდან დაბრუნებისას. მას უდიდესი სიხარული მოჰგვარა იმის დანახვამ, რომ წარმართებსაც მისწვდა ქრისტესადმი რწმენა, რომელსაც შეუძლია მათი დახსნა სიყალბისგან და კერპთაყვანისმცემლობის სიცარიელისგან. დღეს ჩვენ გვესმის პავლეს სიხარული, ვინაიდან ვიცით, რა სიმდაბლესა და ტანჯვას ხვდებიან ხოლმე რწმენის მიტოვებისას. მას, კვლავაც გაბედულად ვაუწყოთ მას, ვისაც ჯერაც არ სწამს, იესოს სახის მშვენიერება!

23 მაისი

პასექის V კვირა [I] თ

2019 ხუთშაბათი

საქმ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

გულთამხილველმა ღმერთმა მათაც დაუმოწმა საქმ 15,8

პავლე საუბრობს იმ წარმართებზე, რომ-ლებიც, ებრაელი ქრისტიანების აზრით, ვერ შეძლებდნენ სულიწმიდის მიღებას. მაშინ კი, თავად ღმერთმა მრავალი სასწა-ულით აჩვენა, რომ ისინიც არიან ნაყვა-რებნი და მიღბულნი მის მიერ. როდესაც იესო უყვართ, დახსნილნი არიან და შეუძ-ლიათ ჯვარი ატარონ და ერთიმეორე უყ-ვარდეთ. დღეს იმავეს თქმა შეგვიძლია იმ ადამიანებზე, რომლებიც შორსმყოფებად ითვლებიან, მაგრამ რომლებსაც ჩემზე მეტად უყვართ იესო.

24 მაისი

პასექის V კვირა [I] თ

2019 პარასკევი

საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

მე აგირჩიეთ იო 15,16

იესო, სიმართლეა, რომ შენ ამირჩიე? და რატომ? თუკი შენ ამირჩიე, მართლაც დიდია შენი სიყვარული. შენ არ გიპოვნია ჩემში დამსახურებები, თავისთავად რომ არ არსებობს: მაშ, როგორღა ამომირჩიე? შენ ნახე, რომ შენი სიყვარულის მიღებით შევძლებდი შენდამი მსახურებას, შენთვის ჩემი უპოვრობის მოძღვნას და შენი სასუ-ფევლისთვის სარგებლის მოტანას. გმა-დლობ, იესო, აჰა, აქა ვარ!

25 მაისი

2019

პასექის V კვირა [I] თ

წმ. ბედა ღირსი, ხც. და ეკ. მძღვ., +735;
წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085;
წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქალწ., +1607

შაბათი

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს იო 15,19

შენ გამოგვარჩიე, იესო, მაგრამ ამ შენმა სიყვარულმა ისეთ ადგილზე როდი დაგვაყენა, რომ ადამიანები ჩვენით აღფრთოვანებულიყვნენ და ტაში დაეკრათ. შენ ამოგვირჩიე, რათა ჯვრის გზაზე გამოგყვეთ, იმ გზაზე, რომელიც ყველა დანარჩენზე მეტად აჩვენებს მამის სიყვარულს. აღარ ვიტყვი: 'ცუდი რა ჩავიდინე, რომ ეს ჯვარი დავიმსახურე?', არამედ შენ მოგიძღვნი წვალებასა და ტანჯვას, რათა შემოგიერთდე, ვინაიდან შენ დამიხსნეი ჯვარზე და კვლავაც იხსნი ადამიანებს.

26 მაისი

პასექის ჟამის VI კვირადღე, «გ», [II], თ

2019 კვირა

საქმ 15,1-2.22-29; ფს 66; გამოცხ 21,10-14.22-23; იო 14,23-29

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ვისაც ვუყვარვარ, ის დაიცავს ჩემს სიტყვას იო 14,23

ესაა ერთადერთი გზა იესოს შესაცნობად. იგი თავს უცხადებს მას, ვისაც უყვარს და ემორჩილება. უფალმა ასე უპასუხა იუდას შეკითხვას, თუ რატომ არ აცნობდა თავს ყველას, თავის მტრებსაც კი: ამითი აიცილა თავიდან ჯვარი. მაგრამ ვისაც იგი არ უყვართ, მას ვერ შეიცნობენ, ვინაიდან მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ადამიანი მასთან თანაზიარებაში ამყოფოს.

27 მაისი

2019 ორშაბათი

პასექის VI კვირა [II] თ

წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ., +604

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26-16,4

უფალმა გაუხსნა გული ლიდიას, რათა ჩაებეჭდა პავლეს სიტყვები საქმ 16,14

როგორ შეიძლება მიიღონ სახარების სიტყვა, რომელიც ფავარზე ლაპარაკობს, ნაცვლად კეთილდღეობისა? მუდამ საჭიროა ღმერთის ჩარევა, მისი 'სასწაული'! ამიტომ, ნურასდროს მოვიტყუებთ თავს, რომ არგუმენტებით შევძლებთ იმათ დარწმუნებას, ვისაც არ სწამთ: პირველ რიგში, საჭიროა ლოცვა, სიყვარულის უბრალო და ჭეშმარიტი მოწმობით.

28 მაისი

პასექის VI კვირა [II] თ

(15.V) წმ. ღირსი პიროს ბრეთელი, მონაზონი, VIს

2019 სამშაბათი

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

უქადაგეს ღმერთის სიტყვა მასაც და ყველას, მის სახლში მყოფს საქმ 16,32

პავლეს და სილას, ფილიპეში პატიმრობისას, მას შემდეგ, რაც მიწისძვრამ ნაგებობის საძირკველი შეარყია, სთხოვს პატიმარი, რომ მას და თავის ოჯახს ხსნის სიტყვა უქადაგონ. მოციქული შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ იესო აუწყოს! საპყრობილეც კი, მიუხედავად მისთვის ჩვეული ტანჯვისა, გაგებული და წარმოდგენილია როგორც ძვირფასი შესაძლებლობა ადამიანთა დასახსნელად!

29 მაისი

2019 ოთხშაბათი

პასექის VI კვირა [II] თ

ტრიდენტის ეპარქიის მფარველნი: წმმ. სისინე, მარტირე და ალექსანდრე, წამ., †397

საქმ 17,15.22 – 18,1; ფს 148; იო 16,12-15

მეც მას გიქადაგებთ, ვისაც არ იცნობთ და ეთაყვანებით საქმ 17,23

წმ. პავლე ათენში იმყოფება ქალაქის გავლენიანი ადამიანების წინაშე. იგი ცდილობს, რომ მათი რელიგიურობის გარკვეულ ასპექტზე იმსჯელოს, მაგრამ ეს სიტყვის მიმართ მათი გულების გახსნის გზა არაა! ამისთვის საჭიროა იესოსთვის მიძღვნილი ცხოვრების მოწმობა, როგორც დღეს გვიჩვენებს სამი წამებული – სისინე, მარტირე და ალექსანდრე. უფალმა გამოიყენა მათი თვინიერება და შეუპოვრობა დევნის დროს, რათა წარმართთა გული გაეხსნა სახარების მიმართ.

30 მაისი

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს)

2019 ხუთშაბათი

საქმ 1,1-11; ფს 46; ებრ 9,24-28; 10,19-23; ლკ 24,46-53

თქვენ ქალაქში დარჩით ლკ 24,49

როდესაც ზეცად მაღლდებოდა, იესომ მოუხმო თავისიანებს, რომ ქალაქში დარჩენილიყვნენ, ვიდრე მამისაგან მათზე არ მოავლენდა სულიწმიდას. ის მათ აქცევს მის მოწმეებად ყოველი ერის წინაშე. სულთმოფენობის ნოვენა სწორედ ის დროა, რომ დავრჩეთ "ქალაქში": უძლიერესი ლოცვის დრო. ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ ასეთ დროს: ვინაიდან ლოცვა ჩვენკენ იზიდავს "ნუგეშინისმცემელს", იმას, ვინც მოხმობილია გვერდში გვედგას და შეგვეწიოს ყოველგვარ გასაჭირში.

31 მაისი

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ
(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტირიჯანი, +693

2019 პარასკევი

სოფ 3,14-17 ან, რომ 12,9-16; ფს: ეს 12,2-6; ლკ 1,39-56

გიხაროდეთ სასოებით...
ლოცვისას იყავით მოულოლელნი რომ 12,12

დღეს სრულდება მაისის თვე, რომლის განმავლობაშიც სავარდით ვიყავით შეერთებულნი მარიამის ლოცვასა და მის მიერ იესოს განჭვრეტაში. ნუ შევწყვეტთ ლოცვას: ასე ძვირფასია მოციქულის შეგონება. სიხარული და ლოცვა, ქრისტიანთა თვისებები, ცხოვრების ასპექტებია, რომლებიც ერთიმეორეზეა დამოკიდებული. ვინც ჭეშმარიტად ლოცულობს, სიხარულს იღებს: ანუ ვინც თავს უძღვნის ღმერთს, რომ ხორცი შეასხას ყველა ადამიანის დახსნის მისეულ სურვილს.